სექტემბერი, 2018
ქიათურა

საველე გასვლის ანგარიში

მწვანე ალტერნატივა

სარჩევი

ანოტაცია 3

1. მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების შედეგად ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანი 4

1.1 ღია და რეკულტივაციის გარეშე დატოვებული კარიერები 4

1.2 ჰაერის დაბინძურება ..... **Error! Bookmark not defined.**

1.3 დაბინძურებული წყალი 6

1.4 ნარჩენები 6

1.4.1. ღურღუმელას შლამსაცავი 7

2. მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების შედეგად სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანი 8

2.1 ჯანმრთელობაზე ზემოქმედება 8

2.2 საკუთრების დაკანონების პრობლემა (დარკვეთში) 8

2.3 დაბზარული სახლები 8

2.4 წყაროებისა და ჭების დაშრობა 8

2.5 საძოვრების შემცირების პრობლემა და პირუტყვის დაზიანების შემთხვევები 9

2.6 დასაქმება და დასაქმებულთა პრობლემები 9

3. ჭიათურის სოფლებში არსებული ძირითადი პრობლემები 10

3.1 რგანი 10

3.2 ჭიათურის ორი ნომრის დასახლება 11

3.3 ზედა რგანი 12

3.4 დარკვეთი 13

3.5 პერევისა 14

3.6 ჭიათურის №25-ის დასახლება 15

3.7 წინსოფელი 16

3.8 ითხვისი 16

3.9 მღვიმევი 17

3.10 თაბაგრები 19

3.11 ბუნიკაური 19

4. საველე გასვლის ძირითადი მიგნებები 21

საველე გასვლა განხორციელდა მწვანე ალტერნატივას ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა და იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს შეხედულებებს.

მწვანე ალტერნატივა
თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ.: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

ანოტაცია

2018 წლის სექტემბერში მწვანე ალტერნატივას თანამშრომლები ქ. ჭიათურასა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში წიაღით სარგებლობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით საველე გასვლაზე იმყოფებოდნენ.

საველე გასვლისას გამოვკითხეთ სოფლების: რგანის, ჭიათურის ორი ნომრის დასახლების, ზედა რგანის, დარკვეთის, ზოდის, პერევისას, ჭიათურის №25-ის დასახლების, წინსოფელის, ითხვისის, მღვიმევის, თაბაგრების, ბუნიკაურის მოსახლეობა.

მოსახლეობის გამოკითხვისა და ადგილზე ჩვენი დაკვირვების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ღია კარიერებზე წიაღის მოპოვების პრაქტიკა და რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები;
- დაბინძურებული ჰაერი;
- დაბინძურებული წყალი;
- საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება;
- ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება;
- საკუთრების დაკანონების პრობლემა (დარკვეთში);
- წიაღით სარგებლობის შედეგად დაბზარული სახლები;
- წყაროებისა და ჭების დაშრობა;
- საძოვრების შემცირების პრობლემა და პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- დასაქმებისა და დასაქმებულთა პრობლემები.

სოფლებში ინფრასტრუქტურული პრობლემებია: მოსახლეობას არ აქვს ბუნებრივი აირი, გზები ძირითადად დაზიანებულია, წყალი (გარდა იმისა, რომ გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობას) დაბინძურებული და სასმელად უვარგისია.

1. მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების შედეგად ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანი

1.1 ღია და რეკულტივაციის გარეშე დატოვებული კარიერები

ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს რეკულტივაციის გარეშე დატოვებული კარიერები.

მანგანუმის ათვისება საცხოვრებელ სახლებთან ძალიან ახლოს (ხშირ შემთხვევაში ეზოში) და უსაფრთხოების წესების დაუცველად ხდება.

სურათი. 1 სოფელი მღვიმევი

სურათი 2. სოფელი თაბაგრები

სიტუაცია არსებითად შეცვლილია ზედა რგანში და მღვიმევში. ზედა რგანში ფაქტობრივად ერთი უბანია დარჩენილი, სადაც რამდენიმე მოსახლე ცხოვრობს, სხვაგან სახლები უკვე დანგრეულია (ნამოსახლარებია, ან საერთოდ ვერ იფიქრებ, რომ იქ ოდესღაც სოფელი იყო და ხალხი ცხოვრობდა) და მთლიანად კარიერებს აქვს დაკავებული ტერიტორია. მღვიმევში, მთელი სოფლის გასწვრივ, სახლების მიმდებარედ და ეზოებში ხდება მოპოვება.

სურათი 3. ნამოსახლარი სოფელ ზედა რგანში

სურათი 4. ნამოსახლარი სოფელ ზედა რგანში

დაბინძურებული ჰაერი წარმოადგენს ყველა სოფლისა და ქალაქ ჭიათურის პრობლემას. ქ. ჭიათურაში მოსახლეობა ძირითადად უჩივის საწარმოებიდან და „ჯორჯიან მანგანეზის“ მანქანების გადაადგილების შედეგად ჰაერის დაბინძურებას. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სწორედ მანგანუმის გადამზიდი მანქანების გადაადგილება დაასახელეს. მათი თქმით, მანქანები გამუდმებით მოძრაობენ. კომპანიები, რომელთაც მადანი გადააქვთ, გზას არ რწყავენ. ასევე,

გადამზიდ მანქანებს აქვს დიდი გამონაბოლქვი და ამის გამო, იქ ზაფხულობით სუნთქვაც კი შეუძლებელია. ჩვენი ქალაქში ჩასვლიდან მეორე დღეს, ყველასათვის მოულოდნელად, კომპანიამ გზის მორწყვა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მადნის გადამზიდ მანქანებს საბარგული გადახურული აქვთ და ისე გადაადგილდებიან.

სურ. 5 შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მანქანა

1.3 დაბინძურებული წყალი

ყველა სოფელში და ქალაქშიც, მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას დაბინძურებული წყალი წარმოადგენს, რომელიც მათ გრაფიკით, ხოლო ზაფხულის პერიოდში იშვიათად მიეწოდებათ. მათი თქმით, ამის მიზეზი ზაფხულის ცხელ დღეებში წყლის სიმცირეა. რაც შეეხება დაბინძურებულ წყალს, როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, მათ გამგეობას რამდენჯერმე მიმართეს ამ პრობლემის მოგვარების მოთხოვნით, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა.

1.4 ნარჩენები

პრობლემურია როგორ საწარმოო, ასევე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პრაქტიკა:

1. საწარმოო ნარჩენები თითქმის ყველა სოფელში და ჭიათურის სხვადასხვა ნაწილშია გაბნეული;
2. ასევე, პრობლემურია საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება. მაგალითად, სოფელ ითხვისში ორი ნაგვის ურნა დგას. როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, კვირაში ერთხელ ხდება მათი დაცლა. ეს ურნებიც სოფლის სხვადასხვა უბნებიდან მოშორებითაა, ამიტომ მოსახლეობა თვითნებურად სხვადასხვა ადგილებზე ყრის ნარჩენებს.

სურათი 6. საწარმოო ნარჩენების მთები, სოფელი ითხვისი

სურათი 7. საყოფაცხოვრებო ნარჩენები

1.4.1. ღურღუმელას შლამსაცავი

ღურღუმელას შლამსაცავი მდებარეობს სოფელ წინსოფელში. წლების განმავლობაში, ჭიათურაში გახსნილი მანგანუმის გადამამუშავებელი საწარმოების სანებართვო დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო ნარჩენების განთავსება ხდება ღურღუმელას შლამსაცავზე. წინსოფელის მოსახლეობამ კი გვითხრა, რომ დიდი ხანია ღურღუმელას შლამსაცავზე ნარჩენი დასასაწყობებლად არავის მიაქვს. შესაბამისად, გაურკვეველია სად და როგორ ხდება ამ საწარმოებში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება. გამოკითხვისას ასევე გვითხრეს, რომ ამ „ტბაზე“ (ღურღუმელას ტბა - ასე მოიხსენიებენ) ბავშვები ხშირად თევზაობენ; ასევე, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ბავშვი დაიხრჩო ამ ტბაში. ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ტერიტორიაზე საჭიროა უსაფრთხოების ზომების გატარება.

სურათი 8. ღურღუმელას შლამსაცავი

2. მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების შედეგად სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანი

2.1 ჯანმრთელობაზე ზემოქმედება

მოსახლეობა მიუთითებს სიმსივნური და სხვადასხვა სახის დაავადებების შემთხვევების მკვეთრ ზრდაზე. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა დაავადებების ზრდას მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების შედეგად გარემოს დაბინძურებას უკავშირებს. ქ. ჭიათურაში ერთადერთი რაც 24 საათი მუშაობს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება - აფთიაქები და ბანკებია.

2.2 საკუთრების დაკანონების პრობლემა (დარკვეთში)

დარკვეთში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დაუკანონებელი მიწის ნაკვეთები და სახლები. 14 ოჯახი, რომელიც საბჭოთა პერიოდში ჩამოასახლეს ამ ტერიტორიაზე, საკუთრების დამადასტურებელ საბუთს ფლობს, თუმცა ქონებას მაინც არ უკანონებენ. მათი განმარტებით, პრობლემა შპს „ჯორჯიან მანგანეზისათვის“ საკუთრებაში (შესაძლოა სარგებლობაში) გადაცემული ქონებაა.

2.3 დაბზარული სახლები

სოფელ ითხვისსა და თაბაგრებში მოსახლეობა უჩივის სახლების დაბზარვის პრობლემას. მათი განმარტებით, სახლების დაზიანების მიზეზი მაღაროები და მომპოვებელი კომპანიების მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილებაა. ფოტოს გადაღებაზე ნაწილი არ დაგვთანხმდა.

2.4 წყაროებისა და ჭების დაშრობა

ადგილობრივების განმარტებით, სოფელ თაბაგრებში, სოფელ მღვიმევსა და სოფელ ითხვისში, მანგანუმის მოპოვების გამო, წყაროები და ჭები დაშრა. მოსახლეობა იძულებულია სასმელი წყალი იყიდოს (ბავშვებისათვის მაინც).

2.5 საძოვრების შემცირების პრობლემა და პირუტყვის დაზიანების შემთხვევები

დარკვეთის, რგანის, ითხვისის, მღვიმევის და თაბაგრების მოსახლეობის წუხილის ერთ-ერთ მიზეზს კარიერების გამო შემცირებული საძოვრები წარმოადგენს. მიწები გადათხრილია და ღიად, რეკულტივაციის გარეშეა დარჩენილი, რის გამოც ხშირად პირუტყვი თხრილში ვარდება და ეხოცებათ. მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ზარალის კომპენსაციას მათ არავინ არ უხდის (მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული მოსახლეობის ნაწილმა კომპანიას მიმართა ზარალის ანაზღაურების თხოვნით). ყველა სოფელში დაიჩივლეს, რომ იძულებულები არიან გაყიდონ საქონელი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროა. რამდენიმე ადამიანმა გვითხრა, რომ უკვე დიდი ხანია საქონელი აღარ ყავს, მანგანუმის მოპოვების შედეგად საძოვრების შემცირებისა და კარიერში საქონლის ჩავარდნის გამო.

სურათი 9. ძროხები შემორჩენილ საძოვარზე, სოფ. ითხვისი

2.6 დასაქმება და დასაქმებულთა პრობლემები

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დასაქმებულია კარიერებზე, მაღაროებში, მანგანუმის გადამამუშავებელ საწარმოებში. ჭიათურის და მისი სოფლების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (ახალგაზრდები) წასულია რაიონიდან.

მაღაროში დასაქმებულებისა და მათი ოჯახის წევრების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- დასაქმებულები აღჭურვილნი არიან მხოლოდ სპეც-ტანსაცმლითა და რეზინის ჩექმებით. მათ არ ურიგდებათ არც პირბადე და არც სხვა რაიმე უსაფრთხოების საშუალებები;
- 8-საათიანი გრაფიკის მქონე დასაქმებულების კვება დღეში მხოლოდ ერთხელ ხდება; 12 საათიანი გრაფიკით მომუშავეების კი - სამჯერ;
- მუშაობენ 2 კვირა გადაბმულად და მომდევნო 2 კვირა ისვენებენ;
- ღამის ცვლაში დასაქმებულებს, როგორც გვითხრეს, უფრო მეტი ანაზღაურება აქვთ დაახლოებით 1000 ლარამდე, სხვებს 700 ლარის ქვემოთ;

- მათი თქმით, საკვები მწირი და უვარგისია. ძირითადად მიაქვთ სახლში და ღორებს აჭმევენ. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთი დასაქმებული თვლის, რომ მაღაროში მომუშავეთათვის კარგი კვება და ხელფასია უზრუნველყოფილი. ასევე, არანაირი სხვა პრობლემაც არ არსებობს;
- დაზღვევა აქვთ, თუმცა, როგორც ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, როცა დასჭირდა დაზღვევით მხოლოდ იაფი წამლები დაუფინანსეს.

3. ჭიათურის სოფლებში არსებული ძირითადი პრობლემები

3.1 რგანი

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;
- რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ღია კარიერები სოფლის მთელ ტერიტორიაზე;
- პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- საძოვრების შემცირება;
- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

ძირითადად რაც მოსახლეობას აწუხებს არის წყლის პრობლემა. წყალი, გარდა იმისა ზაფხულის დღეებში იშვიათად მიეწოდებათ, სასმელადაც უვარგისია, დაბინძურებულია; ამიტომ, სასმელ წყალს ძირითადად ყიდულობენ. რამდენიმე მოსახლემ ისიც კი გვითხრა, რომ სხვა საშუალება არ აქვთ და იძულებულები არიან მაინც გამოიყენონ სასმელად ეს წყალი. მეორე საკითხი, რაზეც გამოკითხულთა უმეტესობა წუხს „ჯორჯიან მანგანეზის“ მანქანების გადაადგილებაა. როგორც გამოკითხვის დროს გვითხრეს, გზები არ ირწყვება: „აქ ძირითადად სულ შავი მტვერია“ - გვითხრა ერთმა რესპოდენტმა.

სურათი 10. სამრეწველო ნარჩენი, სოფ. რგანი

სურათი 11. შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მანქანა, სოფელი რგანი

3.2 ჭიათურის ორი ნომრის დასახლება

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;
- რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ღია კარიერები სოფლის მთელ ტერიტორიაზე;
- პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

სურათი 12. კარიერი, ჭიათურის ორი ნომერი

აქ რამდენიმე მოსახლე რგანიდან არის ჩამოსახლებული. როგორც გვითხრეს, დაახლოებით ერთი წლის წინ გადმოასახლეს. კომპენსაცია იმდენად დაბალი იყო, რომ ფულის დამატება თვითონ მოუხდათ და ისე შეიძინეს სახლი ჭიათურის ორ ნომერში (ეს დასახლება რგანის ქვემოთაა). აქაც, სახლის წინ კარიერია და გადათხრილია ტერიტორია. დღემდე ელოდებიან, რომ „ჯორჯიან მანგანეზი“ ფულს კიდევ დაუმატებთ.

როგორც გვითხრეს, სოფლებში საქონელი ძალიან ბევრმა გაყიდა, ზოგს კარიერების გამო მოუკვდათ, ამიტომ ცდილობენ საქონელი აღარ ჰყავდეთ. მოსახლეების განმარტებით, საქონლის დაკარგვის გამო ანაზღაურება კომპანიისაგან არავის მიუღია.

სურათი13. სახლთან დაყრილი სამრეწველო ნარჩენები, ჭიათურის ორი ნომერი

3.3 ზედა რგანი

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;
- რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ღია კარიერები სოფლის მთელ ტერიტორიაზე;
- პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- საძოვრების შემცირება;
- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

ზედა რგანში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მანგანუმის მოპოვების გამო. სოფელი თითქმის დაცლილია. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რადიკალურად შეცვლილია სოფელში მდგომარეობა. ძირითადად, ვხვდებით დანგრეულ სახლებს/ნამოსახლარებს. გადათხრილია სოფელი და ზოგ ადგილებში საერთოდ ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ეს ადგილები მჭიდროდ იყო ადრე დასახლებული. ძალიან გაგვიჭირდა აქ ადამიანების ნახვა და გამოკითხვა. ვინც ვნახეთ ან კომპანიის წარმომადგენლები იყვნენ ან მათ მიერ დასაქმებულები. მათი თქმით, სოფელში, რომელიც ფაქტიურად აღარ არსებობს, ყველაფერი კარგად არის.

სურათი 14. კარიერი, სოფელი ზედა რგანი

3.4 დარკვეთი

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;
- რეკულტივაციის გარეშე დატოვებული მიწა;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ღია კარიერები სოფლის მთელ ტერიტორიაზე;
- პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- საძოვრების შემცირება;
- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

პრობლემები აქაც იგივეა. ღია კარიერებია მთელ სოფელში. მოპოვების არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ერთ-ერთი დიდი კარიერი საბავშვო ბაღის გვერდითაა. კარიერი და ბაღი ერთმანეთისგან ღობითაა გამიჯნული.

ახალი პრობლემა, რაც სოფელში მცხოვრებ 14 ოჯახს აწუხებს არის საკუთრების დაკანონება და დაყადაღებული ქონება. როგორც ამბობენ, ისინი საბჭოთა პერიოდში ჩამოასახლეს დარკვეთში, სადაც არაფერი არ იყო და საკუთარი ძალისხმევით შესძლეს ხეების გაშენება და საცხოვრებელი პირობების შექმნა. ამიტომ აღარ უნდათ მანგანუმის მოპოვების გამო, მეორედ გადასახლება.

სურათი 15. საბავშვო ბაღის მიმდებარედ არსებული კარიერი

3.5 პერევისა

სოფელში გამოვკითხეთ მხოლოდ კარიერებზე დასაქმებული ადამიანები. ამ სოფელშიც კარიერი დიდ ფართობს იკავებს. ადგილ-ადგილ ვხვდებით ქაოტურად დაყრილ საწარმოო ნარჩენებს. დასაქმებულები პრობლემების ხმამაღლა დაფიქსირებას ერიდებოდნენ.

სურათი 16. საწარმოო ნარჩენები, სოფელი პერევისა

სურათი 17. კარიერი, სოფელი პერევისა

3.6 ჭიათურის №25-ის დასახლება

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ჯანმრთელობის პრობლემები;
- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

ამ დასახლებაში მოპოვება უშუალოდ არ მიმდინარეობს. ძირითადად შეწუხებულები არიან მანქანების გადაადგილებით. როგორც გვითხრეს, დასახლებაში მაცხოვრებლების უმეტესობას სხვადასხვა დაავადებები აწუხებთ. მიუხედავად ყველაფრისა ამბობენ, რომ კარიერები და მაღაროები დასაქმების ერთადერთი საშუალებაა და არსებობისთვის სხვა ალტერნატივა არ აქვთ.

სურათი 18. ჭიათურის №25 დასახლების მიმდებარე ტერიტორია

სურათი 19. „ჯორჯიან მანგანეზის“ მანქანა, ჭიათურის №25

3.7 წინსოფელი

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;

ეს სოფელი ყველაზე კარგ მდგომარეობაშია. აქ მადანს არ მოიპოვებენ, შესაბამისად, არც კარიერები და არც მაღაროებია.

ამ სოფელში განთავსებულია ღურღუმელას შლამსაცავი. გვითხრეს, რომ ადრე სატვირთო მანქანების გადაადგილებით იყვნენ შეწუხებულები, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია ეს პრობლემა აღარ აწუხებთ. მათი თქმით, შლამსაცავს სათევზაოდ იყენებენ.

გამოკითხვის შედეგებს თუ დავეყრდნობით, დიდი ხანია უკვე შლამი და ნარჩენი ღურღუმელაზე აღარ მიაქვთ და ამდენად, გაუგებარია სად ხდება რაიონში მოქმედები არაერთი საწარმოს ნარჩენების განთავსება.

3.8 ითხვისი

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;
- რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ღია კარიერები სოფლის მთელ ტერიტორიაზე;

- პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- საძოვრების შემცირება;
- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

ამ სოფელში არაერთი პრობლემა გვხვდება. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარჩენი აქ არის განთავსებული (როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე საწარმოო). ორი ნაგვის ურნა დგას მთელ სოფელში, რაც საკმარისი არ არის და ამის გამო მოსახლეობა სხვადასხვა ადგილებზე ყრის ნაგავს.

სოფელში არის ორი მაღარო. როგორც მაცხოვრებლებმა გვითხრეს, ერთი რამდენიმე თვის წინ დაიხურა და აღარ მუშაობს; ხოლო, მთავარი - ითხვისის მაღარო, კვლავ ექსპლუატაციაშია.

სოფელში ძველი კარიერების არეალი გაზრდილია. ასევე, მოპოვება ხდება ახალ კარიერებზეც. კარიერების გამო საძოვრების შემცირება მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საქონელი ბევრ ოჯახს საერთოდ აღარ ჰყავს, ზოგს კარიერში ჩავარდნის გამო მოუკვდა, ზოგმა გაყიდა.

სურათი 20. სოფელი ითხვისი

3.9 მღვიმევი

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;
- რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ღია კარიერები სოფლის მთელ ტერიტორიაზე;
- პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- საძოვრების შემცირება;

- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

ზედა რგანის შემდეგ მღვიმევი ყველაზე პრობლემური სოფელია. ზოგან ეზოებში ხდება მოპოვება, ზოგან სახლებთან ახლოს. თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, რამდენიმე წლის შემდეგ ეს სოფელიც აღარ იარსებებს.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, გამოკითხულთა უმეტესობა ემხრობა კარიერების ამ ფორმით მუშაობას. ამბობენ, რომ ეს დასაქმების და ფულის შოვნის ერთადერთი წყაროა.

სურათი 21. სახლების სიახლოვეს არსებული კარიერი, სოფელი მღვიმევი

სურათი 22. კარიერი, სოფელი მღვიმევი

3.10 თაბაგრები

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;
- რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ღია კარიერები სოფლის მთელ ტერიტორიაზე;
- პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- საძოვრების შემცირება;
- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

ხალხს პრობლემების მოგვარების იმედი დაკარგული აქვს. მანგანუმის მოპოვება ეზოებში ხდება.

სურათი 23. საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული კარიერი, სოფელი თაბაგრები

3.11 ბუნიკაური

პრობლემები:

- დასალევად უვარგისი წყალი, რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ;
- სოფელი არ არის გაზიფიცირებული;
- ჰაერის და ნიადაგის დაბინძურება;

- რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები;
- ქაოტურად დაყრილი ნარჩენები;
- ღია კარიერები სოფლის მთელ ტერიტორიაზე;
- პირუტყვის დაზიანების შემთხვევები;
- საძოვრების შემცირება;
- ჯორჯიან მანგანეზის და მისი ქვეკონტრაქტორების მანქანების გადაადგილება.

ბუნიკაურში ჭიათურის სხვა სოფლების მსგავსი პრობლემებია, მაგრამ გამოირჩევა იმით, რომ მოპოვების გამო სოფელში, საკმაოდ დიდ ფართობზე, პირწმინდად არის გაჩეხილი ტყე. მოპოვება გრძელდება და სავარაუდოდ, მომავალში არეალს უფრო მეტად გააფართოებენ.

სურათი 24. ბუნიკაური

4. საველე გასვლის ძირითადი მიგნებები

ყველა სოფელში პრობლემაა გაუმართავი გზა, დასალევად უვარგისი წყალი (რომელიც გრაფიკით მიეწოდებათ), ჯანმრთელობის პრობლემები, რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ტერიტორიები, შემცირებული საძოვრები და მოსახლეობის გადასახლება.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დამატებით ქარხნების მშენებლობა კიდევ უფრო მეტად დააბინძურებს გარემოსა და გაზრდის ჯანმრთელობის პრობლემებს, განსაკუთრებით სიმსივნური დაავადებების რიცხვს.

მიუხედავად ყველაფრისა, ადგილობრივების უმეტესობას მაღაროში და კარიერებზე დასაქმების სურვილი აქვს, რადგან მათი თქმით დასაქმების სხვა წყარო რაიონში არ არსებობს.

ასევე, მოსახლეობის უმეტესობა თვითონვე თანხმდება და გამოთქვამს სურვილს, რომ თავიანთ ეზოში ან სახლის მიმდებარედ გახსნან კარიერი და მოიპოვონ მადანი. მათი თქმით, ეს ფულის შოვნის საშუალებაა და სხვა გზა არ აქვთ. როგორც სოფელ მღვიმევის მკვიდრმა გვითხრა, მას გაუმართლა, მის ეზოში კარიერის გახსნის შემდგომ დიდი რაოდენობით მადანი აღმოჩნდა და თბილისში იყიდა ბინა. მის მეზობლებსაც იმედი აქვთ, რომ მათ ეზოებშიც აღმოჩნდება მადანი. ისინიც დათანხმდნენ „ჯორჯიან მანგანეზს“ დაიწყონ საქმიანობა მათ ნაკვეთებზე.

მოსახლეობის მთავარი მოთხოვნაა, მოხდეს კარიერების რეკულტივაცია. მღვიმევში გვითხრეს, რომ საბჭოთა დროს ხდებოდა ტერიტორიის რეკულტივაცია და მოსახლეობა იქ ცხოვრებას ჩვეულებრივ განაგრძობდა. მას შემდეგ, როგორც ამბობენ, მსგავსი რამ აღარავის გაუკეთებია. სავარაუდოდ, არც ნაყოფიერი ნიადაგის დასაწყობება ხდება.